

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2016 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი საღდოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2016 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 4 434 193.3 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 3 956 214.8 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 111 024.3 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 33 601.5 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 333 352.7 ათასი ლარი.

2016 წლის იანვარ-ივნისში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (3 956 214.8 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (3 935 167.8 ათასი ლარი) 100.5%;

– გადასახადების ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 3 716 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 3 744 515.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 100.8%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 477 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1 415 615.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.8%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 962 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 905 615.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 94.1%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (510 000.2 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (515 000.0 ათასი ლარი) 99%;

გადასახადებმა ქონებაზე შეადგინა 1.8 ათასი ლარი.

– ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 2 191 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1 969 606.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 89.9%-ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 750 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 477 102.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 84.4%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 492 504.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (441 000.0 ათასი ლარი) 111.7%-ია;

- ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 38 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 32 816.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 86.4%-ია; „სხვა გადასახადების“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-ივნისში შეადგინა 326 475.3 ათასი ლარი.

სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის სახაზინო კოდი გაუქმდა და ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი; შედეგად გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.

გრანტების ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 87 973.8 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 81 247.5 ათასი ლარი (რაც გეგმის 92.4%-ია); მათ შორის:

- ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები – 48 668.0 ათასი ლარი;

- სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 10 188.0 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

- „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის #419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 22 391.5 ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 131 194.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 130 451.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 99.4%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 9 819.4 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2016 წლის იანვარ-ივნისში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (111 024.3 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (105 800.0 ათასი ლარი) 104.9%;

მათ შორის:

- შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (25 278.2 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (26 800.0 ათასი ლარი) 94.3%;
 - არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (85 746.1 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (79 000.0 ათასი ლარი) 108.5%;
- მათ შორის:

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 287.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 128.8%;

რადიოსიხშირული სპექტრით ლიცენზიის სარგებლობით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 84 458.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (78 000.0 ათასი ლარი) 108.3%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 33 601.5 ათასი ლარი, რაც ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (31 800.0 ათასი ლარი) 105.7%–ია. მათ შორის:

შემოსულობები სესხებიდან – 33 599.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (31 800.0 ათასი ლარი) 105.7%.

შემოსულობები სხვა დებიტორული დავალიანებებიდან – 2.2 ათასი ლარი.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 333 352.7 ათასი ლარი (რაც გეგმის – 562 853.5 ათასი ლარის 59.2%–ია);

მათ შორის:

- საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 62 073.2 ათასი ლარი;
- საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 271 279.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (555 206.5 ათასი ლარი) 48.9%–ია, მათ შორის:
 - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები – 271 279.5 ლარი (რაც გეგმის – 280 206.5 ათასი ლარის 96.8%–ია); მათ შორის:
 - ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 159 929.0 ათასი ლარი;
 - სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 111 350.5 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 80 659.2 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, განხორციელდა კონვერტირება და ხაზინის ერთიანი ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული

მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის #835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2016 წლის იანვარ-ივნისში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 1 451.5 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2016 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 622 362.1 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 621 595.8 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 766.3 ათასი ლარი; მათ შორის:

- „დაცული ტერიტორიების განვითარება (გრანტი)“ – 236.6 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში (გრანტი)“ – 9.8 ათასი ლარი;
- „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (გრანტი)“ – 162.1 ათასი ლარი;
- „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (კრედიტი)“ – 92.0 ათასი ლარი;
- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (კრედიტი)“ – 265.7 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2016 წლის 1 ივლისისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 371 282.0 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 370 805.3 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 476.8 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის #176-ე განკარგულების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის #29-ე განკარგულების თანახმად, სულ 228 919.0 ათასი ლარი, სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (გამოყენება) შეადგინა 251 080.0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2016 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული 3 956 214.8 ათასი ლარის მოცულობით (ექვსი თვის გეგმა 3 935 167.8 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 4 017 658.0 ათასი ლარი (ექვსი თვის გეგმა 4 194 452.1 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა -61 443.3 ათასი ლარი (უარყოფითი), ექვსი თვის გეგმა -259 284.3 ათასი ლარი (უარყოფითი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 150 043.9 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 111 024.3 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით შესრულებამ 261 068.3 ათასი ლარი.

2016 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა -211 487.2 ათასი ლარი(უარყოფითი), ექვსი თვის გეგმა -479 601.8 ათასი ლარი(უარყოფითი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის #474 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2016 წლის ექვსი თვის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 4 923 477.0 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 4 579 796.7 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 343 680.3 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 4 739 719.2 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 4 685 273.3 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 4 345 396.5 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 339 876.9 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 98.9%, ხოლო გეგმის 95.2%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2016 წლის იანვარ-ივნისის მთლიან ხარჯებში შეადგინა 97.7%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 7.3%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის #738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი

ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-ივნისში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 725 330.3 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 716 346.0 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 710 018.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.1%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 97.9%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2016 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 552 048.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 521 444.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 506 194.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.1%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 91.7%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2016 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 204 313.3 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 195 647.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 195 647.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.8% და ვალდებულების 100%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 102 553.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (102 553.7 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 93 094.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (93 094.0 ათასი ლარი) 100%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2016 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 155 531.3 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 149 525.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 147 148.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.4%-ს და გეგმის 94.6%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად 2016 წლის ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 23 242.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 23 242.8 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების 100%-ია.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2016 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 430 920.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 410 435.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (412 133.1 ათასი ლარი) 99.6% და საგეგმო მაჩვენებლის 95.2%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2016 წლის იანვარ-ივნისში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერების სახით გადაერიცხათ 391 916.5 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (393 430.1 ათასი ლარი) 99.6%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2016 წლის იანვარ-ივნისში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 504 437.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 505 423.4 ათასი ლარი) 99.9% და საგეგმო პარამეტრის (1 506 587.3 ათასი ლარი) 99.9%-ია.

აღნიშნული მუხლიდან მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 1 064 955.1 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 1 064 356.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.9%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 737 276.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (737 347.5 ათასი ლარი) 100% და გეგმის (737 398.9 ათასი ლარი) 100%-ია; სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 318 986.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 318 970.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (318 986.6 ათასი ლარი) და ვალდებულების (318 986.5 ათასი ლარი) 100%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 412 691.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 412 408.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.9% და ვალდებულების (412 442.2 ათასი ლარი) 100%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2016 წლის ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 619 721.7 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 565 989.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 543 776.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 96.1%-ს და გეგმის 87.7%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 248 643.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 248 499.8 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების 99.9%-ია; მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 44 414.4 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 44 414.4 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ შეადგინა 44 414.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და საგეგმო მაჩვენებლის 100%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2016 წლის ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 326 117.5 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ 263 439.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 261 068.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.1%-ს და გეგმის 80.1%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 167 101.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 151 838.9 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (151 738.2 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.9% და საგეგმო მაჩვენებლის – 90.8%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2016 წლის ექვსი თვის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 189 128.4 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 207 786.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და

გადახდამ შეადგინა 204 586.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.5%-ს და გეგმის – 108.2%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 15 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 15 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%-ს შეადგენს; სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 9 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (19 776.0 ათასი ლარი) 45.5%-ია, ხოლო ვალდებულების 100%.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2016 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 213 779.0 ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებებმა შეადგინა 201 982.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 201 960.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის 94.5%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 167 974.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (167 974.0 ათასი ლარი) 100%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 33 986.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (34 008.5 ათასი ლარი) 99.9%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 6 993.9 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 4 749.2 ათასი ლარი;
- „საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტი“ – 1 208.2 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ – 759.7 ათასი ლარი;
- „წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი“ – 262.6 ათასი ლარი;
- „ინოვაციური ეკოსისტემების განვითარება“ – 14.2 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის #92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2016 წლის პირველი ივლისისთვის შეადგინა 260.3 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2016 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 4 278 726.3 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 791 479.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (850 826.9 ათასი ლარი) 93%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 165 896.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (204 413.4 ათასი ლარი) 81.2% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 21%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 195 587.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (204 253.5 ათასი ლარი) 95.8% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 24.7%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 337 406.2 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 332 407.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (4 278 726.3 ათასი ლარი) 7.8%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2016 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 505 097.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 471 946.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93.4%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 266 511.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (276 882.5 ათასი ლარი) 96.2%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (51 043.4 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (55 943.0 ათასი ლარი) 91.2%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 56 872.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (66 926.4 ათასი ლარი) 85%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2016 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 490 032.5 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 435 829.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 88.9%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (23 670.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (28 384.6 ათასი ლარი) 83.4%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (109 379.0 ათასი ლარი), გეგმის (114 939.3 ათასი ლარი) 95.2% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 266 659.3 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 234 254.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 87.8%.

გარემოს დაცვის ხაზით 2016 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 24 023.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 21 518.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 89.6%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2016 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 25 068.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 21 573.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 86.1%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 16 097.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 12 990.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 80.7%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2016 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 478 693.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 468 062.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.9%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 353 075.2 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (352 979.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 100%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (72 021.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (68 146.4 ათასი ლარი) 105.7%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 23 578.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (28 734.2 ათასი ლარი) 82.1%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 133 308.5 ათასი ლარით, რაც 2016 წლის ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის (146 178.7 ათასი ლარი) 91.2%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 23 879.6 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (23 271.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 97.4%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 521 122.8 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 451 830.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 86.7% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.6%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 251 445.0 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (252 960.1 ათასი ლარი) 99.4%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 46 772.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (66 264.1 ათასი ლარი) 70.6%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 1 142 120.3 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 150 771.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 26.9%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 737 534.9 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 737 405.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 323 515.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (323 659.2 ათასი ლარი) 99.96%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორმოცდაცხრამეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 2 613.2 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 1 837.8 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით შეადგინა 775.4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორმოცდაათ შემთხვევაში შეადგინა სულ 48 549.7 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 42 090.9 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 ივლისისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 6 458.7 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ თორმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 86 922.3 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 85 533.1 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 ივლისისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 1 389.2 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 39 934.2 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 39 967.4 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 6 000.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 6 000.0 ათასი ლარი („საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა).

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 32 200.0 ლარი. აქედან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 25 041.5 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 25 041.5 ათასი ლარი), სხვა ხარჯების მუხლით გამოეყო 34.6 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 34.6 ათასი ლარი), ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების დასაფარად საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხების ასანაზღაურებლად გეგმამ შეადგინა 7 123.9 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 6 360.6 ათასი ლარი).

საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარად ვალდებულებების კლების მუხლით გამოყოფილმა გეგმამ შეადგინა - 1 768.8 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა – 2 565.3 ათასი ლარი, მათ შორის მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გაწეული ხარჯი – 866.3 ათასი ლარი.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 6 360.6 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2016 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.